საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского районного Совета народных депутатов

№99 (6326) 21 აგვისტო 1990 წელი სამშაბათი ფასი 6 კაპ.

მკითხველს ვთავაზობთ:

* გარჯა დაგიფასდათ, მევენახეებო!
* შენდება ნაპირსამაგრი
* სიტყვა—საქმიანი

მე-2 გვ.

* თვითშეგნებითა და ურთიერთთანადგომით

მე-3 -გვ.

* ისარგებლეთ ჩვენი მომსახურებით
* ხელოვნება და ჯანმრთელობა

მე-4 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესია

საქართველოს მომავალი პარლამენტი უნდა გახდეს ხელისუფლების სამუშაო, დინამიკური ორგანო, რომელიც ნამდვილად გამოხატავს ხალხის ნებას, შეძლებს დაიცვას მთელი რესპუბლიკის, მისი თითოეული მოქალაქის ინტერესები. ასეთი განწყობილებით შეუდგა მუშაობას 17 აგვისტოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში რესპუბლიკის მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მეთექვსმეტე სესია. სესიაზე მოწვეული იყვნენ სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და მოძრაობათა წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. გუმბარიძემ.

სესიის დღის წესრიგშია საკითხები:

1. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების კანონპროექტები.
2. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს კომისიის დასკვნა მოქალაქეთა მრავალი წლის საჩივრების შესწავლის გამო.
3. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

მტკიცდება სესიის მუშაობის წესი.

იმის გამო, რომ სესიას საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება, გ. გუმბარიძემ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მიმართა მთავრობის სახლთან მიმდინარე მიტინგის მონაწილეებს და მოუწოდა გამოიჩინონ სიმშვიდე და თავშეკავება, რათა ნორმალური პირობები შეუქმნან სესიის მუშაობას, მისცენ დეპუტატებს შესაძლებლობა ობიექტურად, პირუთვნელად იმსჯელონ და მიიღონ სწორი გადაწყვეტილებანი.

სესიას წინ უძღოდა დაძაბული მუშაობა წინათ გამოქვეყნებული სამივე კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესაჯამებლად. ბევრი რამ გაკეთდა საიმისოდ, რომ უკეთ გაითვალისწინებინათ რესპუბლიკის მოსახლეობის აზრი, პოლიტიკური ოპონენტების შეხედულებანი ჭეშმარიტად დემოკრატიულ საფუძველზე პროფესიული პარლამენტის ფორმირების ფუძემდებელ დებულებებზე.

ძნელად მიმდინარეობდა ეს მუშაობა, მასში მონაწილეობდნენ როგორც რესპუბლიკის ახლანდელი დეპუტატთა კორპუსის წარმომადგენლები, ისე მთელი რიგი პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების ლიდერები. მისი მიზანი დაექვემდებარა კონსენსუსის მიღწევას ისეთ საკვანძო სადავო საკითხებზე, როგორიც არის: არჩევნების მოწყობის სისტემა, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რაოდენობრივი შემადგენლობა, პარტიების რეგისტრაციის წესი, იმის განსაზღვრა, თუ რა პირობებით შეუძლიათ მათ წარმოდგენილი იყვნენ პარლამენტის შემადგენლობაში. წარმოდგენილი კანონპროექტების განხილვის შედეგების ღრმა, ყოვლისმხრივი ანალიზის საფუძველზე მომზადდა ახალი კანონის პროექტის ვარიანტი, რომელიც დეპუტატებს დაურიგდათ სესიის დაწყებამდე.

მოხსენება სესიის დღის წესრიგის პირველ საკითხზე გააკეთა გ. გუმბარიძემ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ვ. შარაშენიძე, ლ. ხაბურზანია, რ. საყვარელიძე, დ. ხახუტაშვილი, ვ. რაზმაძე, ა. კავსაძე, ჯ. ჩარკვიანი, რ. გორდეზიანი, ნ. ქელეხსაევა, ა. გოცირიძე, ნ. ნათაძე, ნ. მგალობლიშვილი, ლ. ღოღობერიძე, მ. ქორქაშვილი, „მრგვალი მაგიდის“ წარმომადგენელი ზ. გამსახურდია, დეპუტატები გ. ლორთქიფანიძე, რ. ბასარია, რ. მხეიძე, ნ. ჩერქეზიშვილი, ვ. კეშელავა, ვ. ასათიანი, ა. კარანაძე.

სესიის სარედაქციო კომისია შეუდგა როგორც გამოსვლებში გამოთქმული, ისე წერილობით შემოსული წინადადებების შესწავლას, ანალიზსა და განზოგადებას, რომლებიც ეხება საქართველოს მომავალი პარლამენტის რიცხოვნობის საკითხს.

* * *

18 აგვისტოს საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მეთექვსმეტე სესიამ განაგრძო მუშაობა.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. გუმბარიძემ განაცხადა, რომ წინადღით გაიმართა სესიის სარედაქციო კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვის დროს კამათში გამოთქმული და წერილობით შემოსული წინადადებანი რესპუბლიკის მომავალი პარლამენტის რაოდენობრივი შემადგენლობის შესახებ. შეისწავლა და გააანალიზა რა ისინი, კომისიამ განზოგადა ეს წინადადებანი და თავის დასკვნას წარუდგენს სესიას.

ამავე დროს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრთა დავალებით გ. გუმბარიძემ გააკეთა შემდეგი განცხადება მიუხედავად იმისა, თქვა მან, რომ გუშინ სესიის დაწყების წინ მთავრობის სასახლესთან მიმდინარე მიტინგის მონაწილეებს მოვუწოდეთ გამოეჩინათ სიმშვიდე და თავშეკავება, რათა შექმნილიყო მუშაობის ნორმალური პირობები, ვითარება სესიის გარშემო კვლავ დაძაბულია. გუშინდელი დღის სხდომების შემდეგ ზოგიერთ დეპუტატს ქუჩაში, მოგვიანებით კი სასტუმროებშიც ტელეფონით შეურაცხყოფდნენ, ემუქრებოდნენ იმათ, ვისი პოზიციაც არ ემთხვევა ოპონენტთა შეხედულებებს. დაძაბულობა, სამწუხაროდ, დღესაც არ კლებულობს. ამიტომ კვლავ მოვუწოდებთ მომიტინგეებს წესრიგისათვის, რათა მოგვცენ ნაყოფიერი მუშაობის შესაძლებლობა.

რამდენიმე ხნის შემდეგ სესიამ განაგრძო არჩევნების კანონპროექტების საკითხის განხილვა. განახლებულ კამათში მონაწილეობა მიიღეს, აგრეთვე შენიშვნები და წინადადებანი გამოთქვეს დეპუტატებმა ნ. ნათაძემ, ნ. ჭითანავამ, ა. ბურჯანაძემ, გ. ანდრონიკაშვილმა, ე. შენგელაიამ, რ. კონცელიძემ, კ. გარდაფხაძემ, ი. მენაღარიშვილმა, გ. ციციშვილმა, ე. ყურაშვილმა, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატმა ა. ბაძრაძემ, დეპუტატებმა რ. მემარნიშვილმა, ნ. გურგენიძემ, ჯ. გორგოძემ, ნ. ჭავჭავაძემ, რ. ჯახია, ზ. ლომიძემ, ნ. ვაშაძემ, ო. კალანდარიშვილმა.

ამით კამათი დღის წესრიგის პირველი საკითხის გამო შეწყდა.

შესვენების შემდეგ სესიის მონაწილეებმა განსაზღვრეს არჩევნების კანონის შეთანხმებული პროექტის დამატებანი და ცვლილებანი ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში შესატანად.

ამ დღეს სესიის მუშაობამ გვიანობამდე გასტანა.

(საქინფორმი).

ჩვენი დღეების ადამიანები

სოფლის სასიკეთოდ

შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების დანერგვამ მიწას პატრონი გაუჩინა, გლეხს მიწის სიყვარული დაუბრუნა. ახლა მოკლის ხარისხით ვერც კი გაარჩევ საკარმიდამო ფართობის სიმინდის ყანებსა და ვენახებს იჯარით აღებული საკოლმეურნეო ფართობებისაგან.

წიფერჩელ ალიოშა თუთისანს სოფელში გამრჯე, დაუღალავი კაცის სახელით იცნობენ. ის ბავშვობიდანვე ეზიარა შრომის მადლს. შრომისმოყვარე კაცს მზრუნველობა არასოდეს დაუკლია ვენახისა და სიმინდისათვის. წელს იჯარით აღებულ 0,3 ჰექტარ სიმინდის ყანასა და 0,15 ჰექტარ სავენახე ფართობში ყველა საჭირო ოპერაციები დროულად აქვს ჩატარებული, რაც ვენახსაც და ყანასაც კარგად ეტყობა—ორივე სანიმუშოდ მოვლილია. ამინდმაც გაამართლა და მოსავალს კარგი პირი უჩანს. მისმა ოჯახმა აბრეშუმის პარკის დამზადებაში აქტიური წვლილი შეიტანა, პირუტყვსაც საკმაო რაოდენობით მოუმარაგეს საკვები.

ალიოშამ და მისმა მეუღლემ, ქალბატონმა თინამ ოთხი შვილი აღზარდეს (3 ვაჟი და ერთი ქალი). ისინი ბავშვობიდან გვერდში ედგნენ მშობლებს—თოხნა იყო თუ ბარვა, ვაზის სხვლა თუ წამლობა, მოსავლის აღება თუ დაბინავება—ენერგიულად ეხმარებოდნენ ოჯახს. ადრიდანვე ჩამოყალიბებულმა შრომის სიყვარულმა განსაზღვრა მათი მომავალი ცხოვრების გზა. სოფლად დამკვიდრდნენ, დაოჯახდნენ, გამრავლდნენ და ქვეყნის და ერის წინაშე პირნათელნი არიან.

დღეს, როცა ქვეყანას ეკონომიურად უჭირს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართული სოფლის აღორძინებას. სწორედ ღონიერი სოფელი უნდა გახდეს მომავალი საქართველოს ბურჯი. სოფლის სიმდიდრე კი ასეთი შრომისმოყვარე ოჯახებიდან იწყება.

გ. ჩარკვიანი.

გარჯა დაგიფასდათ, მევენახეებო!

—პატივცემული ნოდარ, რამდენადაც ცნობილია, წლევანდელი სეზონიდან რესპუბლიკაში ყურძნის სახელმწიფო შესასყიდი ფასები მატულობს, მათ შორის ტექნიკური ჯიშის ყურძნისა—მნიშვნელოვნად, ხოლო ზოგიერთი ჯიშის ყურძნისა, ძირითადად, უნიკალური ჯიშებისა—ერთიორად და მეტად. უფრო კონკრეტულად ხომ არ განმარტავდით ამ ცვლილებებს?

—საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა დადგენილების დანართი, — რომელშიც მოცემულია ყურძნის ახალი შესასყიდი ფასები. ალბათ, ამ ჩამონათვალის გარეშე შეუძლებელია ჩვენი საუბარი **მას უნდა გაეცნოს ყველა:**

ნუსხა

ტექნიკური ჯიშის ყურძნის შესასყიდი ფასებისა

		საბაზისო შაქრიანობა	ახალი ფასი	ძველი ფასი
			შესასყიდი ტონა მანეთობით	
1. სამრეწველო ვადამუშავებისათვის განკუთვნილი ყურძენი				
ალადასტური, ალექსანდროული, მეჯურეთული,				
უსახელოური	23	2.000	1.200	
ოჯალეში	21	2.000	1.100	
ჩხავერი	22	2.000	1.100	
საფერავი	23	1.500	1.000	
კაბერნე	20	1.500	1.000	
ცოლიკაური (ცაგერის და გუდაუთის რაიონებში, გაგრის საქალაქო საბჭოს ზონაში, წყალტუბოს რაიონის სოფლებში: მექვენა, ღონისისა, დერჩი, საჩხეტურა, ქვედა და ზედა ონჟეში ნაკვალად ტკბილი ღვინოებისათვის)				
	19	1.500	1.100	
მწვანე	19	1.200	580	
რქაწითელი	19	1.000	540	
თავკვერი	18	1.000	450	
ცოლიკაური				
დანარჩენ				
რაიონებში	19	1.000	550	
ციცქა				
გარდა შამპანური				
ჯიშის ყურძნის				
რაიონებისა	18	1.000	560	
ალიგოტე				
(ქართლსა და იმერეთში)				
	18	1.000	580	
კაჰეჰი,				
ძველშავი, მგალობლიშვილი,				
ავასირხვა	19	700	450	
იზაბელა				
(აფხაზეთის ასსრ,				
აჭარის ასსრ, გურიის და				
სამეგრელოს რეგიონებში)				
	16	700	400	
დანარჩენი ტექნიკური				
ჯიშები	18	400	150	
შამპანურის ჯიშები				
პინო				
(შამპანური ღვინოების ზონაში)				
	17	1.500	1.000	
გორული				
მწვანე	17	1.200	580	
ციცქა				
(საჩხერის, ხარაგაულის,				
ზესტაფონის, თერჯოლის				
რაიონებში და ჭიათურის				
საქალაქო საბჭოს ზონაში)				
	17	1.100	560	
ჩინური	17	1.100	560	
შავკაპიტო	17	1.100	450	

—მოცემული ცხრილი დამატებით განმარტებას მოითხოვს. მაგალითად, ცოლიკაურის ჯიშის ყურძენი ნუსხაში ორჯერ არის მიცემული სხვადასხვა ღირებულებით, რით აიხსნება ეს?

—ცოლიკაურის ჯიშის ყურძენი ცაგერის და გუდაუთის რაიონებში, აგრეთვე გაგრის საქალაქო ზონაში გამოიყენება ნახევრადტკბილი ღვინოების დასამზადებლად. ამიტომ მათი საბაზისო შაქრიანობა (21) და შესასყიდი ფასი მაღალია იმ რაიონებთან შედარებით, სადაც ცოლიკაური სუფრის ღვინოების დასამზადებლად გამოიყენება.

ანალოგიური განსხვავებაა შამპანური ჯიშის ყურძნის (ციცქა) შესასყიდ ფასებში, შამპანიურ ზონაში ამ ჯიშის შესასყიდი ფასი უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ზონაში მოყვანილი.

აუცილებლად უნდა ითქვას იმ ჯიშების შესახებაც, რომლებიც ასორტიმენტში გათვალისწინებული არ არის. მაგალითად, ამ ბოლო დროს კახეთის ზონაში ფართოდ გავრცელდა ყურძნის ჰიბრიდული ჯიში „უწამალი". ეს ჯიშები ჩამონათვალში არ არის მოცემული და ამდენად, უნდა ვიცოდეთ, რომ ქარხნები მას არ მიიღებენ.

—საბაზრო შაქრიანობის პროცენტულ მაჩვენებლებში ცვლილებები არ შეინიშნება...

—უნდა ვიცოდეთ, რომ საბაზისო შაქრიანობის ზევით, თითოეული პროცენტისათვის ყურძნის შესასყიდ ფასზე დანამატი გაიცემა 5 პროცენტის ოდენობით, ხოლო საბაზისო შაქრიანობაზე დაბალი შემცველობისათვის ფასდაკლებაა 5 პროცენტის ოდენობით —თითოეულ პროცენტზე.

შამპანიური ჯიშის ყურძნის მჟავიანობა უნდა იყოს არა ნაკლები 7 პრომილესი.

ყურძენზე, რომელიც შეიცავს დაავადებებით, მავნებლებით და მექანიკურად დაზიანებულ მარცვლებს 10 პროცენტის ფარგლებში, ფასდაკლება არ გავრცელდება; მაგრამ 10 პროცენტის ზევით იგი ანაზღაურდება შესასყიდი ფასიდან იმდენი პროცენტის ფასდაკლებით, რამდენითაც დაზიანებული მარცვლების შემცველობა აღემატებოდა 10 პროცენტს, მაგრამ არა უმეტეს 40 პროცენტისა.

თუ ძირითადი ჯიშის ყურძენი არის იგივე ფერისა, მაგრამ ბოტანიკური სახეობის სხვა ჯიშის და ფასის ყურძნის მინარევი 15 პროცენტზე მეტია, მაშინ ანაზღაურება მინარევში არსებული ყურძნის ყველაზე დაბალი ფასით მოხდება.

—რა ეკონომიკურ ეფექტს მოუტანს ჩვენს რესპუბლიკას ყურძნის ახალი შესასყიდი ფასები?

—წინასწარ საუბარი ძნელია, მით უფრო, რომ ახლა ყველაფრის ფასები მატულობს, მაგრამ შეიძლება გამოითქვას საეარაუდო ციფრები. კიდევ ერთხელ თუ გადავავლებთ თვალს ყურძნის შესასყიდ ფასებს, დავინახავთ, რომ კილოგრამი რქაწითელის შესასყიდი ფასი 54 კაპიკიდან 1 მანეთამდე გაიზარდა, ხოლო უნიკალური ჯიშის ყურძნისა კი 1 მანეთი და 20 კაპიკიდან—2 მანეთამდე.

ამ ღონისძიებების განხორციელებით, თუ გასული წლის ფაქტობრივი შესყიდვის დონით ვიანგარიშებთ, წლევანდელი მოსავლიდან რესპუბლიკის მევენახეობის საზოგადოებრივი მეურნეობებისა და მოსახლეობის შემოსავალი 150 მილიონით გაიზრდება. ხოლო თუ წლევანდელი წლის გეგმის მიხედვით ვიანგარიშებთ (490 ათასი ტონა)—220 მილიონი მანეთით.

მაგრამ, ვამბობდ ეს მხოლოდ საეარაუდო ციფრებია. ... ღონისძიებების მთელ კომპლექსს, დაწყებული ვენახებიდან დამთავრებული ღვინის ქარხნებამდე, ნაღდ დროზე ჩავატარებთ, არ არის გამორიცხული, რომ მოგება უფრო შთამბეჭდავი მივიღოთ.

ამჟამად მევენახეობაში მეჩხერიანობა 15 პროცენტს შეადგენს. ამის გამო შარშან თითოეული ძირიდან საშუალოდ 2.4 კილოგრამი ყურძენი მივიღეთ, წლეულს თუ შეეძლებთ მეჩხერიანობის 10 პროცენტამდე დაყვანას, მაშინ საშუალო მოსავლიანობა 61 დან 73,5 ცენტნერამდე გაიზრდება. ეს კი უკვე სერიოზული წარმატებაა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ შარშან ჰექტარი ვენახიდან მხოლოდ 640 მანეთი მოგება მივიღეთ, გეგმა კი 1500 მანეთს ითვალისწინებდა...

—მთავარი მიზანი ამ ღონისძიებების გატარებისა, ალბათ, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განმტკიცებაა.

—რესპუბლიკის ეკონომიკისა, რადგან სოფლის მეურნეობაში მევენახეობას წამყვანი ადგილი უჭირავს. ჩვენ ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ. მევენახეობის აღორძინებამ ხელი უნდა შეუწყოს რესპუბლიკის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. მაქსიმალურად უნდა ვისარგებლოთ ამ სიკეთით, ქართულ ღვინოს უნდა აღვუდგინოთ ძველი დიდება. ღვინის ბუნება რომ ვენახში იბადება, და ლამაზი ეტიკეტით მთავრდება. ეს ჭეშმარიტება, მთელი სიგრძე-სიგანით უნდა გავითავისოთ, სხვაგვარად კონკურენტუნარიან პროდუქციას ვერ მივიღებთ. უნდა ვიბრძოლოთ არა მარტო მსოფლიო ბაზარზე პროდუქციის გასატანად, არამედ საკავშირო ბაზარზე დასამკვიდრებლადაც. თუ ჩვენ შევძლებთ მუშაობაში გარდატეხის შეტანას, მჯერა დაუძლეველი არაფერი დაგვრჩება.

კვლავ ყურძნის ფასების შესახებ

ამ დღეებში პრესაში დაიბეჭდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება ყურძნის შესასყიდი სახელმწიფო ფასების გაზრდის თაობაზე. დადგენილებაში ზოგადად იყო საუბარი ფასების მომატების შესახებ. ამ დადგენილებამ მევენახეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ამასთან დაკავშირებით გაზეთ „სოფლის ცხოვრების" კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს **ნოდარ ჩხოლარიას** და სთხოვა კომენტარი გაეკეთებინა დადგენილებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენდება ნაპირსამაგრი



მდინარე ცხენისწყალი რამდენ ეკონომიკურ და მორალურ ზიანს გვაყენებს ყოველწლიურად. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ 8 წლის წინ შეიქმნა ნაპირსამაგრი მშენებლობის პროექტი. ... ტაფობში მდინარის ... ნაპირზე, რომელიც შემდეგ რამდენჯერმე გადაკეთდა.

1989 წლის აგვისტოში **ტრესტ** „კოლხიდმშენის" №1 მოძრაკი მექანიზებული კოლონის ცაგერის სამშენებლო უბანი შეიქმნა (უფროსი გენადი სიღაგაძე), რომელიც ძირითადად დაკომპლექტებულია ადგილობრივი სპეციალისტებით და მუშახელით. წელს უბანმა 500 ათასი მანეთის სამუშაოები უნდა შეასრულოს. 7 თვის შედეგები კარგია, იმედია მშენებელთა კოლექტივი გაცემულ სიტყვას შეასრულებს.

უბნის ხელმძღვანელთა ნაყოფიერი შრომით, ტრესტის დახმარებით, ამჟამად ყველა პირობაა შექმნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მხრივ. ჰყავთ საჭირო ტექნიკა—ბულდოზერები, თვითმცლელი ავტომანქანები, ექსკავატორები, მალე ექსპლოატაციაში შევა ბეტონის ქარხანა.

ახლა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს სამუშაოები მდინარის მარცხენა სანაპიროზე, ჩხუტელის ახალი დასახლების ტერიტორიაზე.



სურათებზე: (მარცხნივ) მიმდინარეობს მიწაყრილის მომზადება ბეტონის ფილების დასაწყობად. (მარჯვნივ) ასხამენ ბეტონის ფილებს.

ზ. გზიმბავას ფოტოები.

სიტყვა — საქმიანი

ქვედა ცაგერში ე. წ. „სიბიკრის" ტერიტორიაზე არის მგზავრთა მოსაცდელი. ერთხელ ჩვენს გაზეთში გავიცხეთ ეს ფაქტი, რომ პირუტყვის სადგომად იყო გამოყენებული ეს ადგილი. ქვედა ცაგერის ბაგა-ბაღის მუშა-მოსამსახურეებმა დაასუფთავეს მოსაცდელი და მის ირგვლივ ტერიტორია, არ ევალებოდათ, მაგრამ მაინც. მერე ისევ აივსო იქაურობა ნაგვით. ახლა ზაფხულია, უამრავი სტუმარი და მგზავრი იყრის თავს აქ, ცხენისწყლის გალმა-გამოღმა სოფლების თავშესაყარიც აქაა. ზაფხულია და საბავშვო ბაგა-ბაღის წინ სხვას რომ თავი დავანებოთ, სიბინძურე ყოვლად გაუმართლებელია. ოფიციალურად არც ერთ სამსახურს არ ევალება აქაურობის მოვლა-დაგვა. ისევ და ისევ აქვე მდებარე კავშირგაბმულობის განყოფილების, მაღაზიისა და ბაგა-ბაღის მუშაკთა იმედი გვაქვს. სხვა რომ არ-ფერი, თავად არიან და სუნთქავენ აქ მთელი დღე.

ბევრი რამ გტკივა, ქალაქო!

თვითშეგნებითა და ურთიერთანაგრძნობით

დღევანდელი რთული ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება, დაძაბული ცხოვრების რიტმი, რევოლუციის ტოლი მიმდინარე პროცესები არავისთვის გასაკვირი არ უნდა იყოს, რაც ძალზე არათანმიმდევრულს, ხშირად მოუწესრიგებელს ხდის თითოეული ჩვენთაგანის საქმიანობას. ამასთან საუბედუროდ, დემოკრატიისა და საჯაროობის ვითარებამ ზოგიერთ ჩვენგანში მთლიანად ჩაახშო პირადი პასუხისმგებლობის, თვითკრიტიკის მოვლენების სამართლიანად შეფასების უნარი და ერთიორად გააძლიერა ლანძღვის, სხვისი კრიტიკის, ზოგჯერ თავდასხმის ქმედებები. ყოველივე ეს კი, როგორც ნათლად ჩანს, ერთ-ერთი მუხრუჭია ქართველი ერის უკეთესი ხვალინდელი დღის მიღწევის გზაზე.

მინდა შევეხო რამდენიმე ძირითად პრობლემას, რომელიც ჩვენი ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებობს და მათზე სამსახურებრივად კომუნალურ საწარმოთა კომბინატთან ერთად უშუალოდ მიწევს მუშაობა. იმისათვის, რომ ქალაქის მოსახლეობამ, მის ტერიტორიაზე განლაგებულმა წარმოება-დაწესებულებების და ორგანიზაციების მუშაკებმა მოწესრიგებულად იცხოვრონ და იშრომონ, აუცილებელი პირობაა:

მათი უწყვეტად სასმელი წყლით მომარაგება; სანიმუშო სანიტარულ-ჰიგიენური წესრიგის დამყარება; ყველა სახის კეთილმოწყობის სამუშაოთა ხარისხიანად და მაღალ დონეზე შესრულება, მოსახლეობის შეფერხებების გარეშე თბომომარაგება, საბინაო საკითხების დროულად გადაწყვეტა.

დღევანდელი სინამდვილით უნდა ვაღიაროთ, რომ მოსახლეობა სასმელი წყლის დეფიციტს განიცდის. მიზეზი? — წყალსაქაჩ სადგურზე დასაქმებული მუშაკების მოუწესრიგებელი საქმიანობა, ავარიული და მოძველებული წყალსადენის ქსელი, მოსახლეობის, წარმოება-დაწესებულებების და ორგანიზაციების მიერ სასმელი წყლის ძალზე არაეკონომიკური ხარჯვა.

როგორ გვესახება ამ პრობლემის უახლოეს მომავალში მოგვარება? აუცილებელია კომუნალურ საწარმოთა კომბინატის დირექციამ პირველ რიგში, სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოები ჩაუტაროს წყალსადენის სადგურს და სასმელი წყლის აუზებს სანეპიდსადგურის მთავარი ექიმის მითითების შესაბამისად, რათა ელემენტარული პირობები შეექმნათ აქ დასაქმებულ მუშაკებს შრომისათვის. ამასთან უზრუნველყოს მათ მიერ საშემსრულებლო დისციპლინის ამაღლება. დროულად მოსაგვარებელია წყალსადენის ქსელის უბნებად დაყოფა ურდულების მეშვეობით, რათა საშუალება შეიქმნას მოსახლეობაზე სასმელი წყლის გრაფიკის მიხედვით მიწოდებისა (გრაფიკი კი უნდა იქნას გამოქვეყნებული გაზეთის ფურცლებზე). ყველაზე მტკივნეული კი ქალაქში თითოეული მცხოვრების თვითშეგნების ამაღლებაა, რათა სასმელი წყალი ვიხმაროთ ეკონომიურად, მაგრამ ჩვენი ქალაქის ზოგიერთ მცხოვრებს ავიწყდება, როგორც წყლის გადასახადი, ასევე მისი ეკონომიური ხარჯვა. სწორად მიმაჩნია, კომბინატის მუშაკებმა აღრიცხონ ასეთი მოქალაქენი და ამხილონ ისინი საჯაროდ. მინდა წარმოება-დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და ქალაქის მოსახლეობას შევახსენო, რომ კომუნალურ საწარმოთა კომბინატი მოვალეა წესრიგში მოიყვანოს წყალსადენის ძირითადი ქსელი. რაც შეეხება ოჯახურ ონკანებს და შიდა ქსელს, მათ მოწესრიგებაზე ჩვენ არა ვართ ვალდებული. თუ სპეციალისტები დასჭირდება ვინმეს, მიმართონ კომბინატს და რა თქმა უნდა, მოემსახურებიან.

დასამალი არ არის ის გარემოება, რომ თითოეული ჩვენგანი ძალზე მტკივნეულად ვრეაგირებთ სანიტარულ-ჰიგიენურ უწესრიგობაზე, მაგრამ საუბედუროდ, ძალზე ცოტას ვაკეთებთ მის მოსაწესრიგებლად. აქ უნდა გამოვყო რამდენიმე მომენტი: ნაგვის გატანის, კანალიზაციის სისტემის მოუწესრიგლობა, მოხეტიალე პირუტყვი, სხვადასხვა სამშენებლო მასალების ნარჩენების სისტემატურად გაუტანლობა მინიშნებულ ადგილზე.

ნაგვის გატანაზე როცა ვლაპარაკობთ, გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ქალაქის მცხოვრებთა უმეტესობა ნაგავს ყრის ქალაქის ქუჩებში, ეზოებში, სკვერებში, ცხენისწყლის სანაპიროზე, ამ დროს ნაგვის გატანის ხელშეკრულება მოსახლეობის ერთ ნაწილს აქვს გაფორმებული კომუნალურ საწარმოთა კომბინატთან. რა თქმა უნდა, დანარჩენ ნაწილს იოლი გზა აქვს არჩეული — მის ეზოს მოაცილოს და სხვა არ აღარდებს. აბა, რა გამართლება აქვს 9 აპრილის, დ. ალმაშენებლის, ბარათაშვილის, თამარ მეფის, ასათიანის ქუჩების ზოგიერთი მცხოვრების მოქმედებას, რომელთაც ნაგავსაყრელად ცხენისწყლის და კეჭნარის ღელის სანაპირო აქვთ გამოყენებული. ფაქტები? — შეგიძლიათ ინახულოთ თვით სანაპიროები და თავად დარწმუნდებით ჩვენი ნათქვამის სინამდვილეში. რა კეთდება ასეთი ფაქტების აღსაკვეთად? ფაქტიურად არაფერი. ყველას თვალწინ უხეირო ადამიანები ჩადიან უმსგავსობას, ხოლო საქმე საქმეზე რომ მიდგება, ჩვენ გვაკრიტიკებენ. არც ერთი ფაქტი არ არის დაფიქსირებული კომბინატში, რომ აქ მცხოვრებს (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) შეეწუხებინოთ თავი, მოემართათ ჩვენთვის და მოეთხოვათ ამ სახით მომსახურება. რა თქმა უნდა, იბადება კითხვა. შეძლებს კი კომუნალურ საწარმოთა კომბინატი მთლიანად ქალაქის მომსახურებას? პასუხი, მიუხედავად სირთულეებისა, ერთია — უნდა შეძლოს, რადგან ჩვენ ვერ დავუშვებთ სტიქიურად ნაგავსაყრელების შექმნას. ამასთან მოსახლეობაც უნდა ამოგვიდგეს მხარში, გაითვალისწინოს ნაგვის გატანაზე დასაქმებული მუშახელის დეფიციტი და ვინც დასაქმებულია, მათი მძიმე სამუშაო პირობები, როგორ უნდა გამოსწორდეს მდგომარეობაა? უპირველესად კომუნალურ საწარმოთა კომბინატის დირექციამ კონტროლზე უნდა აიყვანოს ნაგვის გატანის ორგანიზაცია. ამასთან სანეპიდსადგურისა და ბუნების დაცვის მუშაკებმა ბრძოლა უნდა გამოუცხადონ ყოველ ფაქტს, გამოავლინონ კონკრეტული პიროვნებები, გაატარონ სანქციები აუცილებლობის შემთხვევაში, პრესის ფურცლებით გააცნონ სანიტარული წესრიგის დამრღვევები ფართო საზოგადოებას.

თითქმის უმართავი გახდა ქალაქში კანალიზაციის სისტემის მუშაობის საკითხი. რა თქმა უნდა, მთლიანი ქსელი არ გვაქვს, მაგრამ ცალკეულ მაგისტრალებს რა ემ[illegible]ება, ალბათ კვლავ იბადება კითხვა: მიზეზი ყოველთვის განუკითხაობაა. კერძოდ, ლაპარაკია რაიონული საავადმყოფოსა და სასტუმროს კანალიზაციების ქსელზე. რაიონული საავადმყოფოს კანალიზაციაზეა დაერთებული სამხატვრო და სამუსიკო სკოლების შენობების ხაზი, რესტორანი „ცაგერი" და დ. ალმაშენებლის ქუჩის №43-ში მდებარე ორმოცბინიანი კომუნალური სახლი, მათ დაემატა თვითნებურად მოსახლეობა. მომსახურებაში შეიქმნა განუკითხაობა და შედეგად ის მივიღეთ, რომ მაგისტრალი სისტემატურად მოუწესრიგებელია, რაც მოსახლეობის გულისტკივილს იწვევს. რაც შეეხება სასტუმროს კანალიზაციას, აქ უნდა აღინიშნოს, რომ სასტუმრო თავის დროზე ექსპლუატაციაში გაშვებული იქნა არასწორად, რადგან კანალიზაცია მაშინაც მოუწესრიგებელი იყო. მინდა ყველამ იცოდეს, რომ კომუნალურ საწარმოთა კომბინატს არც სახსრები გააჩნია მის მოსაწესრიგებლად და საუბედუროდ არც სპეციალისტები ჰყავს, ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია, საავადმყოფომ გაუკეთდეს ახალი კანალიზაციის ხაზი, რომელზედაც დაერთდება ზემოხსენებული ორგანიზაციები და მოსახლეობა, რის შემდეგაც ჩაბარდეს კომუნალურ საწარმოთა კომბინატს, რომელიც გაუწევს ექსპლოატაციას და ხელშეკრულების საფუძველზე მოემსახურება, ხოლო სასტუმროს კანალიზაცია წესრიგში უნდა მოიყვანოს მისმა ყოფილმა მშენებელმა — საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციამ. სხვა გამოსავალს ამ საკითხების მოგვარებისას ვერ ვხედავთ.

საგანგაშო მდგომარეობაა შექმნილი ქალაქში მოხეტიალე პირუტყვის თარეშით. ვერავინ იტყვის, რომ მოწოდებული სამსახურები არ ატარებენ საჭირო ღონისძიებებს მათ აღსაკვეთად, მაგრამ იმაშიც გეთანხმებით, რომ ისინი საკმარისი არ არის.

გულისტკივილით უნდა ითქვას ქალაქში მიმდინარე კეთილმოწყობის სამუშაოების შესახებ, ვერა და ვერ ამოქმედდა სარემონტო სამშენებლო უბანი. ჩვენ გვესმის მათი გასაჭირიც, მაგრამ კომუნალური ბინების ეზოებში შექმნილი ვითარება ვერაფრით ვერ გაგვიმართლებია. საჭიროა, უბნის ხელმძღვანელობამ არსებული საშუალებების გამოყენებით კონკრეტულად მოჰკიდოს საქმეს ხელი. მეტს მოველოდით ორგანიზაციებისაგან, რომლებმაც იკისრეს 9 აპრილის მემორიალის კეთილმოწყობის სამუშაოების შესრულება, მაგრამ სამწუხაროდ დაპირება დაპირებად დარჩა.

ახლოვდება ზამთრის სეზონი და რა თქმა უნდა, ძალზე დიდი მოცულობის სამუშაოებია შესასრულებელი, რათა მოსახლეობის წინაშე პირნათელი ვიყოთ. ალბათ საჭიროა მოსახლეობამ იცოდეს, რომ ჯერ კიდევ მოქმედი უწყებრივი ბარიერებისა, ამასთან მშენებლების დაბალი პროფესიონალიზმისა და ცუდი მომარაგების გამო დაკონსერვდა ახალი საქვაბის მშენებლობა და ფაქტიურად ის იმედი, რომ ქალაქი უზრუნველყოფილი იქნებოდა შეუფერხებლად თბომომარაგებით, გაგვიმტყუნდა. ყოველივე ამის გამო ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ და უკვე მიმდინარეობს ყველა საქვაბე მეურნეობის საფუძვლიანი სარემონტო სამუშაოების ჩატარება. ამასთან იმისათვის, რომ წელს მაინც შევძლოთ დ. ალმაშენებლის ქუჩის №63 კომუნალურ სახლში მცხოვრებლების თბომომარაგება, დავიწყეთ არსებული საქვაბის თხევად საწვავზე გადაყვანის რეკონსტრუქციის სამუშაოები. ვეცდებით, საქვაბე სეზონისათვის მწყობრში იყოს.

საბინაო პრობლემები, როგორც ვიცით, მთელს რესპუბლიკას აწუხებს. მე არ მოვყვები მიზეზების ჩამოთვლას, მაგრამ თუ ჩვენს სინამდვილეში ამ საკითხებისადმი არ იქნა მეტი კომპეტენტურობა, საქმიანი მიდგომა, მომავალში ძალზე გაგვიჭირდება. დღეის მდგომარეობით ქ. ცაგერში ავარიულ და ძველ სახლებში ცხოვრობს 30 ოჯახი, რომელთაც სხვა საცხოვრებელი არ გააჩნიათ, საბინაო პირობების გაუმჯობესების რიგში იმყოფება რამდენიმე ოჯახი, თითქმის დღევანდელობისათვის აუტანელ პირობებში ცხოვრობენ სტალინის ქუჩის 8-ბინიანი საცხოვრებელი სახლების მობინადრენი. რა საშუალებებით შეგვიძლია ამ მოქალაქეების საბინაო პირობების მოწესრიგება? 50,0 ათასი მანეთი, რომელიც საბინაო ფონდის რემონტისათვის იყოფა ყოველწლიურად ბიუჯეტიდან, მინიმალურად ვერ აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს, ანდა როგორ შეიძლება აღნიშნული თანხებით ბინებში არსებული ავარიული კანალიზაციისა და სასმელი წყლის ქსელების, ფასადების, დერეფნების, სახურავების აღდგენის და შეკეთების სხვა სამუშაოთა შესრულება. [illegible] ემეტება დ. ალმაშენებლის ქუჩაზე №63 სახლის [illegible] ულზე და სარდაფში შექმნილი აუტანელი ვითარება. თავის დროზე საკმაო თანხები იქნა დახარჯული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, მაგრამ გაკეთებული, როგორც თვით მობინადრენი აღნიშნავენ, არაფერია. ასეთი „პრინციპულობა" მოთხოვნებში ახლა რომ გააჩნიათ აქ მაცხოვრებლებს, თავის დროზე რომ გამოეჩინათ შეიძლება საქმეს უფრო შველოდა, რადგან წელს უკვე სახსრები არ არის და ჩვენ უძლურნი ვართ მათი პრეტენზიების დაკმაყოფილებაში.

როგორ უნდა მოგვარდეს ჩამოთვლილი საკითხები? პირველ რიგში, წლის ბოლომდე ან 1991 წლის პირველ ნახევარში უნდა მოხდეს 48—ბინიანი საცხოვრებელი სახლის ექსპლოატაციაში გაშვება და არა ისე, როგორც ზოგიერთები გვთავაზობენ, დაუმთავრებლად მოხდეს ბინების განაწილება — ეს ყოვლად დაუშვებელია, რათა არ განმეორდეს სასტუმრო „ლეჩხუმის" ვარიანტი. აუცილებელია სტალინის ქუჩის 8—ბინიანი საცხოვრებელი სახლების რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩატარება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ აღმოვჩნდებით ძალზე უხერხულ მდგომარეობაში.

ძალზე აწუხებს ქალაქის მოსახლეობას და რა თქმა უნდა, ჩვენც, სასაფლაოს მიწის ნაკვეთის შერჩევის საკითხი, რომელიც ძალზე სერიოზულია და პრაქტიკულად ჯერ-ჯერობით ვერ შევძელით. არის რამდენიმე მოსაზრება მიწის ნაკვეთის შერჩევაზე. მე მინდა გაზეთის მეშვეობით მკითხველს გავაცნო ისინი, მათ კი თავიანთი წინადადებები მოგვაწოდონ რათა შევათანხმოთ ყველაზე სწორი და შესაძლებელი ვარიანტზე.

არის აზრი, არსებული სასაფლაო დაიხუროს და გამოინახოს სხვა მიწის ნაკვეთი (რა თქმა უნდა ლაპარაკი არ არის ზოგიერთი გვარის წინაპართ შენახულ პერანგებზე).

ზოგიერთნი ითხოვენ გაფართოვდეს არსებული სასაფლაო, ხოლო გვესოს და ქვედა ცაგერის მოსახლეობას შესაბამისად სოფლის ტერიტორიებზე გამოეყოთ მიწის ნაკვეთები სასაფლაოსათვის.

ითხოვენ მეფრინველეობის ფაბრიკის ტერიტორიაზე გამოიყოს მიწის ნაკვეთი, გაკულტურდეს და შემდეგ მოხდეს მისი სასაფლაოსთვის გამოყენება.

როგორია თქვენი წინადადებები? მოგვწერეთ წერილობით ან გაგვაცანით გაზეთის მეშვეობით.

ზემოთდასმული პრობლემების გადაჭრა მოითხოვს მაღალ თვითშეგნებას და კულტურას, თითოეულის პასუხისმგებლობას და სიყვარულს მშობლიური ქალაქისადმი.

ბ. კვირიკაშვილი,

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, ქალაქის განვითარებისა და საბინაო კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგე.

ისარგებლეთ ჩვენი მომსახურებით

ცაგერის რაიონში მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, რაიონული ცენტრიდან 23 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ტერიტორია „ლაძგვერიას“ სახელწოდებით, სადაც გამოედინება სამკურნალო მინერალური წყალი.

1988 წელს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიო-თერაპიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ფიზიკო-ქიმიურმა ლაბორატორიამ გააკეთა „ლაძგვერიის“ წყლის ანალიზი და დაადგინა, იგი არის იშვიათი სამკურნალო წყალი და გამოყენებული უნდა იქნას. აბაზანების სახით საყრდენი მამოძრავებელი ორგანოების, პერიფერიული ნერვიული სისტემის და კანის დაავადების სამკურნალოდ. აგრეთვე მუდმივი თავის ტკივილებისა და თვალის ანთებით-მხედველობითი დაავადებებისათვის. ანალიზებით დადგინდა აგრეთვე, რომ იგი გამოიყენება დასალევად კუჭ-ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების, კოლიტისა და შიდა ორგანოების, აგრეთვე ორგანიზმში მარილების დაგროვების მკურნალობისათვის. მიმდინარეობს დაკვირვება დიაბეტურ, აგრეთვე ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის, შარდსადენი მილების დაავადებებზე.

მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან მოქმედებს სამკურნალო კოოპერატივი „ლაძგვერია“, რომელიც გახსნილია უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობასთან. კურორტს ამჟამად აქვს 55 საწოლი და. ემსახურება საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო კვლევითი სახელმწიფო ინსტიტუტიდან მოვლინებული მედპერსონალი პროფესორ ალექსანდრე დიმიტრის ძე რობაქიძის ხელმძღვანელობით, რომელშიც შედიან მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ლუდმილა ალექსანდრეს ასული გალუბოვა, მეცნიერ თანამშრომელი, თერაპევტი ირინა ჯაბაშვილი, ლაბორანტები დალი პავლიაშვილი და ლამარა წიკლაური.

კოოპერატივში მკურნალობა და დასვენება 15 დღიანია, სამჯერადი კვებით, დღეში ერთი აბაზანით, ბინით, თეთრეულით და სამედიცინო მომსახურებით

ავადმყოფთა 15 დღით მკურნალობის ღირებულებაა 170 მანეთი.

ავადმყოფებს, რომლებიც ბინის სიმაცრის გამო ჩვენთან ვერ მოეწყობიან და ესაჭიროებათ მხოლოდ აბაზანები, შეუძლიათ იარონ ყოველდღიურად საცხოვრებელი ადგილიდან. ერთი აბაზანის ღირებულება 3 მანეთია.

აბაზანის მიღების მსურველთა მგზავრობის გასაადვილებლად, მიმდინარე წლის 16 ივლისიდან მოძრაობს ავტობუსი „ცაგერი—კურორტი ლაძგვერია“. მისი გრაფიკია დილის 9 საათზე გასვლა ცაგერიდან, 12 საათზე დაბრუნება. საღამოს გასვლა 3 საათზე, დაბრუნება 4—5 საათზე. ავტობუსით მომსახურება ფასიანია. მსურველებს შეუძლიათ ისარგებლონ „ლაძგვერიის“ წყლის სიკეთით.

რ. მანდარია.

უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კომპლექსური კოოპერატივ კურორტ „ლაძგვერიის“ თავმჯდომარე.

ხელოვნება და ჯანმრთელობა

ვარკეთილი—3, მესამე მიკრორაიონი, კორპუსი 314. ამ მისამართზე დაიდო ბინა ახალმა სამკურნალო - გამაჯანსაღებელმა ცენტრმა „მედეა-89“. იგი შეიქმნა 26 კომისრის რაიონის ამბულატორია—პოლიკლინიკურ გაერთიანებასთან.

მრავალი სამკურნალო დაწესებულებისაგან განსხვავებით აქ არ მოჩანს რთული სამედიცინო დანადგარები, სხვადასხვა სპეციალური ხელსაწყოები. საქმე ის არის, რომ ექიმების მთავარი „ინსტრუმენტია“ ღონიერი და მგრძნობიარე ხელები, რომლებიც ეხმარებიან ადამიანებს დაავადებისაგან განკურნებაში. ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ავადმყოფთა განკურნება უწამლოდ, მანუალური და რეფლექსოთერაპიის, ხალხური მედიცინის, სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდებით, ჩინური და იაპონური ვარჯიშების დახმარებით და ა. შ.

—მანუალური თერაპია დიდი ხანია გამოვიდა მეცნიერებამდელი სტადიიდან და საყოველთაო აღიარება მოიპოვა.—თქვა „მედეა-89“ თავმჯდომარემ ექიმმა სერგი ბეჟანიშვილმა. —მას ჯერ კიდევ რამდენიმე ათასი წლის წინათ ჰიპოკრატეს დროიდან იყენებდნენ. თანამედროვე სადიაგნოსტიკო აპარატურამ საშუალება მოგვცა შევიჭრეთ აკრძალულ, როგორც ეს წინათ ითვლებოდა, ზონაში — ხერხემლის კისრის არეში. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რამდენიმე სეანსის შემდეგ ავადმყოფებს უქრებათ, ზოგჯერ უკვალოდაც, ისეთი სერიოზული ნევროლოგიური დაავადებანი, როგორიცაა წონასწორობის დარღვევა, თავბრუ, მხედველობითი მოშლილობა და სხვა. ამავე დროს პაციენტები იკურნებიან აუტანელი ტკივილებისაგანაც.

ჩვენ შეგვიძლია აგრეთვე „დავიმორჩილოთ“ ართრიტი და პოლიართრიტი, ოსტეოქონდროზი, რადიკულიტი, სქოლიოზი, საყრდენ-სამოძრაო აპარატის სხვა მოშლილობანი და რევმატული დაავადებანი.

„მედეა-89“ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს. მას მომავლის დიდი გეგმები აქვს.

(საქინფორმი)

რაიონის კოოპერატორთა საყურადღებოდ!

24 აგვისტოს, 12 საათზე ქ. ცაგერში გაიმართება რაიონის კოოპერატორთა თათბირი კოოპერაციულ სექტორში შექმნილი მდგომარეობისა და ზოგიერთ წამოჭრილ პრობლემათა გადაწყვეტის გზების შესახებ.

ვთხოვთ ყველა კოოპერატივის თავმჯდომარეს მონაწილეობა მიიღოს თათბირის მუშაობაში კოოპერატორთა ერთობლივი პოზიციის გამომუშავების მიზნით, რომელიც კანონიდან გამომდინარეობს.

წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატორთა რაიონული გაერთიანების გამგეობა.

მოსახლეობის საყურადღებოდ

მეთოდური და პრაქტიკული დახმარების მიზნით ცაგერის რაიონში 3 ფვით მოვლინებულია უმაღლესი კატეგორიის ექიმი ოტოლარინგოლოგი (ყელ-ყურის ექიმი) გურამ კალისტრატეს ძე ჩიქოვანი.

მიღება 9 სთ. 30 წუთიდან 14 საათამდე რაიონული პოლიკლინიკაში.

რაისაავადმყოფოს ადმინისტრაცია.

განცხადება

იყიდება ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი (კაპიტალური სამზარეულოთი და სათავსოებით.) ქ. ცაგერში. ლესელიძის ქ. №2.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. №10 ბინა 26. ოთარ გოგიძის ოჯახს. (ტელ: 38-12-02)

ჯილოცავთ

ნატო ჟიურის ასულ ალავიძე-ქარსელაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს. გემრავლებინოთ ერის სასახელო შვილები. გისურვებთ ჯანმრთელობასა და სიხარულს.

პაშა, ჟიური ალავიძეები, იულია ბუჭუ სვანიძეები, გალაქტიონ, ავთანდილ, მერაბ გოლეთიანები.

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. **ტელეფონები:** რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-48, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,

გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, **[illegible]** **[illegible]**, **შეკვეთა** [illegible] **ტირაჟი** [illegible]

საქართველოს სსრ მინისტრთა სოციალური საბჭოს ცაგერის ტიპოგრაფიის ლიტოგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.

ბ. ბ. ბ.

ბ. ბ. ბ.

ბ. ბ. ბ.